# ეკონომიკა

**ეკონომიკური ზრდა:** საქსტატის მიხედვით 2026 წლის I კვარტალში საქართველოს რეალური მშპ 9.0%-ით გაიზარდა, რაც 0.1პპ-ით შემცირებულია წინასწარ მაჩვენებელთან შედარებით. აღნიშნული კორექციის გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკა 2026 წლის პირველ 4 თვეში 8.2%-ით გაიზარდა.
სექტორულ ჭრილში, I კვარტლის წლიურ ზრდაში მაღალი დადებითი კონტრიბუცია შეიტანეს შემდეგმა დარგებმა: ინფორმაცია & კომუნიკაცია (+36.0%), ტრანსპორტი (+18.0%), ვაჭრობა (+5.5%), საფინანსო საქმიანობა (+11.7%), ხელოვნება & გართობა (+14.5% წ/წ), ჯანდაცვა (+12.6%), სახელმწიფო მმართველობა (+11.0%), სასტუმროები & რესტორნები (+12.4%) და უძრავი ქონების ოპერაციები (+3.1%). ამასთან, აღნიშნულ პერიოდში წლიური კლება დაფიქსირდა მშენებლობის (-2.0%) და სოფლის მეურნეობის (-3.3%) დარგებში.
ჩვენი პროგნოზით, 2026 წელს საქართველოს ეკონომიკა 7.0%-ით გაიზრდება.

**მონეტარული პოლიტიკა:** სებ-ის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2026 წლის 17 ივნისს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად, 8.25%-ზე დატოვა. ინფლაციის ზრდა, რომელმაც მაისში 5.7%-ს მიაღწია, ძირითადად გამოწვეული იყო გარე, მიწოდების მხრიდან მომდინარე ფაქტორებით, რაც შუა აღმოსავლეთის კონფლიქტთან დაკავშირებული ენერგორესურსების ფასების ზრდას უკავშირდება. სებ-ი აღნიშნავს, რომ ნავთობის საერთაშორისო ფასების ბოლოდროინდელი კორექცია მის ცენტრალურ სცენარს შეესაბამება, რომლის მიხედვითაც ინფლაცია 2026 წლის მე-2 კვარტლიდან კლების ტენდენციას გააგრძელებს, წლის განმავლობაში საშუალოდ 4.9%-ს შეადგენს, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში ეტაპობრივად დაუბრუნდება მიზნობრივ 3.0%-იან მაჩვენებელს. რეგულატორი ასევე მიანიშნებს, რომ თუ ინფლაციური შოკები კიდევ უფრო გახანგრძლივდება და/ან მათი მასშტაბი მეორე რაუნდის ეფექტების რისკებს გააძლიერებს, მონეტარული პოლიტიკის ზომიერი გამკაცრება გაგრძელდება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2026 წლის 29 ივლისს ჩატარდება.

**საგარეო ვაჭრობა:** საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2026 წლის მაისში საქონლის ექსპორტი წლიურად 15.1%-ით გაიზარდა და 667.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვეში დაფიქსირებული წლიური 16.1%-იანი ზრდის შემდეგ. საქონლის იმპორტი წლიურად 5.1%-ით გაიზარდა 1.6 მლრდ აშშ დოლარამდე, წინა თვის წლიური 0.9%-იანი კლების შემდეგ. შედეგად, 2026 წლის მაისში სავაჭრო დეფიციტი წლიურად 1.3%-ით შემცირდა და 894.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
2026 წლის მაისში მანქანები (-10.7% წ/წ), ნავთობი (+678.0% წ/წ), ფეროშენადნობები (+47.0% წ/წ), სპილენძი (+$32.2 მლნ წ/წ) და ძვირფასი ლითონები (-24.0% წ/წ) იყო ტოპ-5 ექსპორტირებული საქონელი. ამასთან, ექსპორტის 7.3% ევროკავშირზე მოდიოდა (+17.7% წ/წ), 52.3% დსთ-ზე (-13.0% წ/წ) და 40.4% სხვა ქვეყნებზე (+96.5% წ/წ). აღნიშნულ პერიოდში, ტოპ-5 იმპორტი იყო მანქანები (-30.5% წ/წ), ნავთობი (+67.3% წ/წ), მედიკამენტები (-10.2% წ/წ), ნედლი ნავთობი (+$42.7 მლნ წ/წ) და სპილენძი (+$41.5 მლნ წ/წ).
ჯამურად, 2026 წლის იანვარ-მაისში, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 13.4%-ით შემცირდა და 4.2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რადგან ექსპორტი 19.8%-ით გაიზარდა 3.1 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 1.9%-ით შემცირდა და 7.3 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა.

**ფულადი გზავნილები:** სებ-ის მიხედვით, 2026 წლის მაისში ფულადი გზავნილები წლიურად 7.1%-ით გაიზარდა და 339.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვეში დაფიქსირებული წლიური 7.9%-იანი ზრდის შემდეგ. აღნიშნული ზრდა ძირითადად განაპირობა გზავნილების გადმორიცხვამ ევროკავშირიდან (+6.0% წ/წ), ისრაელიდან (+22.7% წ/წ), რუსეთიდან (+11.4% წ/წ), აშშ-დან (+8.1% წ/წ) და თურქეთიდან (+12.9% წ/წ).
ჯამურად, 2026 წლის იანვარ-მაისში ფულადი გზავნილები წლიურად 11.2%-ით გაიზარდა და 1.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

## ეკონომიკური ინდიკატორები

| | 2025 | 2026F |
|---|---|---|
| რეალური მშპ-ს ზრდა | 7.5% | 7.0% |
| მშპ ერთ სულზე (ppp) | 29,329 | 32,354 |
| მშპ ერთ სულზე (აშშ $) | 9,678 | 11,017 |
| მოსახლეობა (მლნ) | 3.9 | 3.9 |
| ინფლაცია (საშუალო) | 3.9% | 4.8% |
| საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ $) | 6.2 | 7.7 |
| მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %) | 2.6% | 3.2% |
| ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %) | 1.4% | 2.0% |
| სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %) | 34.4% | 33.0% |
| Fitch/S&P/Moody's* | BB/BB/Ba2 | |

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

## ნომინალური მშპ და რეალური ზრდა




წყარო: საქსტატი

## საქონლის ექსპორტი




წყარო: საქსტატი

# ფულადი ბაზარი

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები /ობლიგაციები:**
საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2026 წლის 16 ივნისს 5.9-წლიანი 40 მლნ ლარის (15.1 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 5.1-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.216პპ-ით შემცირდა და 8.784% შეადგინა.

უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2026 წლის 23 ივნისს, სადაც 5.1-წლიანი 45 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ობლიგაციები გაიყიდება.

**სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2026 წელი**

| ვადიანობა | გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი | დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი | ვალის ნაშთი მლნ ლარი* |
|---|---|---|---|
| 1 წლამდე | 340 | 240 | 446 |
| 1 წელზე მეტი | 1,320 | 840 | 12,047 |
| **სულ** | **1,660** | **1,080** | **12,493** |

წყარო: ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი
* 2026 წლის მაისის მდგომარეობით

**სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი**




წყარო: სებ

**განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი**




წყარო: სებ

**მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი**




წყარო: სებ, საქსტატი

**ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები**




წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას

# ობლიგაციები

## ქართული ევროობლიგაციები

| გამომშვები | ვალუტა | მოცულობა, მლნ | კუპონი | გამოშვების თარიღი | დაფარვის თარიღი | რეიტინგები Fitch/S&P/Moody | საშუალო ფასი | საშუალო პროცენტი, % | Z-spread, bps |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEORG 01/31 | USD | 500 | 5.125% | Jan-26 | Jan-31 | BB/BB/Ba2 | 97.61 | 5.72 | 174.55 |
| GRAIL 06/28 | USD | 500 | 4.000% | Jun-21 | Jun-28 | BB-/BB-/- | 96.46 | 5.92 | 185.34 |
| GEBGG 9 1/2 PERP | USD | 300 | 9.500% | Apr-24 | n/a | B-/-/B2 | 105.81 | 8.98 | 333.73 |
| GEBGG 11/28 | GEL | 450 | 11.500% | Nov-25 | Nov-28 | -/-/Ba2 | 101.83 | 10.61 | n/a |
| GEBGG 06/31 | USD | 300 | 6.500% | Jun-26 | Jun-31 | -/-/Ba2 | 99.99 | 6.50 | 252.60 |
| SILKRDH 09/30 | USD | 400 | 7.500% | Sep-25 | Sep-30 | BB-/-/B1 | 100.86 | 7.26 | 318.60 |
| TBC 8.894 PERP | USD | 75 | 8.894% | Nov-21 | n/a | B-/-/- | 101.28 | 5.36 | 148.21 |
| TBC 10 1/4 PERP | USD | 300 | 10.250% | Apr-24 | n/a | -/-/B2 | 107.81 | 9.24 | 337.80 |
| CGEOLN 07/29 | USD | 300 | 8.875% | Jul-24 | Jul-29 | BB-/BB-/- | 104.25 | 7.31 | 259.92 |

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg

## ქართული ადგილობრივი ობლიგაციები

| გამომშვები | ვალუტა | მოცულობა, მლნ | კუპონი | გამოშვების თარიღი | დაფარვის თარიღი | ემიტენტის რეიტინგები | საშუალო ფასი | საშუალო პროცენტი, % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | USD | | | | |
| Geo. Renewable Power Oper. | USD | 73 | 7.00% | Oct-22 | Oct-27 | n/a | 100.00 | 7.00% |
| Georgia Capital | USD | 50 | 8.50% | Aug-23 | Aug-28 | BB- | 101.08 | 8.13% |
| Silk Bank | USD | 1 | 12.50% | Apr-24 | Apr-29 | n/a | n/a | n/a |
| IG Development | USD | 19.5 | 8.50% | Jul-24 | Jul-26 | n/a | n/a | 8.63% |
| Tegeta Motors | USD | 5 | 8.50% | Jul-24 | Jul-26 | BB- | n/a | n/a |
| MP Development | USD | 5 | 8.75% | Jul-24 | Jul-26 | n/a | n/a | 8.75% |
| JSC BasisBank | USD | 20 | 7.00% | Aug-24 | Aug-27 | B+ | n/a | 7.00% |
| Georgia Real Estate | USD | 25 | 8.50% | Aug-24 | Aug-26 | n/a | n/a | 8.50% |
| Chavchavadze 64B | USD | 10 | 8.75% | Aug-24 | Aug-26 | n/a | n/a | 8.75% |
| Liberty Bank | USD | 3.6 | 11.00% | Sep-24 | Sep-31 | B+ | n/a | n/a |
| Liberty Bank | USD | 4 | 13.50% | Dec-24 | n/a | B+ | n/a | n/a |
| Tegeta Motors | USD | 5 | 8.25% | Dec-24 | Dec-26 | BB- | n/a | n/a |
| MP Development | USD | 17.7 | 8.50% | Apr-25 | Apr-27 | n/a | n/a | n/a |
| Tegeta Motors | USD | 10 | 8.00% | Apr-25 | Apr-27 | BB- | n/a | n/a |
| Tegeta Motors | USD | 10 | 8.00% | Apr-25 | Apr-27 | BB- | n/a | n/a |
| Energy Development Georgia | USD | 10 | 8.50% | Jun-25 | Jun-27 | n/a | n/a | n/a |
| ALMA | USD | 30 | 8.50% | Jul-25 | Jul-27 | n/a | n/a | n/a |
| Gudauri Lodge | USD | 10 | 8.25% | Oct-25 | Oct-27 | n/a | n/a | n/a |
| IG Development | USD | 25 | 7.75% | Dec-25 | Dec-27 | n/a | n/a | n/a |
| TBC Leasing | USD | 30 | 7.25% | Dec-25 | Dec-28 | n/a | n/a | n/a |
| TBC Leasing | USD | 15 | 7.25% | Dec-25 | Dec-28 | BB | n/a | n/a |
| Bank of Georgia | USD | 15 | 4.20% | Dec-25 | Dec-26 | BB | n/a | n/a |
| Lopota | USD | 1 | 7.75% | Apr-26 | Apr-27 | BB | n/a | n/a |
| Bank of Georgia | USD | 40 | 5.00% | Apr-26 | Apr-27 | n/a | n/a | n/a |
| Nutrimax | USD | 10 | 8.50% | May-26 | May-28 | n/a | n/a | n/a |

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი

# ობლიგაციები

**ქართული ადგილობრივი ობლიგაციები**

| გამომშვები | ვალუტა | მოცულობა, მლნ | კუპონი | გამოშვების თარიღი | დაფარვის თარიღი | ემიტენტის რეიტინგები | საშუალო ფასი | საშუალო პროცენტი, % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | **EUR** | | | | |
| MP Development | EUR | 3 | 7.75% | Jul-24 | Jul-26 | n/a | n/a | 7.75% |
| Chavchavadze 64B | EUR | 3 | 7.75% | Aug-24 | Aug-26 | n/a | n/a | 7.75% |
| ALMA | EUR | 8.5 | 7.25% | Jul-25 | Jul-27 | n/a | n/a | n/a |
| IG Development | EUR | 15 | 6.50% | Dec-25 | Dec-28 | n/a | n/a | n/a |
| Tegeta Motors | EUR | 7.5 | 6.25% | May-26 | May-28 | BB- | n/a | n/a |
| Tegeta Motors | EUR | 3.5 | 6.25% | May-26 | May-28 | BB- | n/a | n/a |
| | | | | **GEL** | | | | |
| Cellfie | GEL | 65 | TIBR6M + 3.50% | Dec-23 | Dec-26 | BB- | 100.00 | 12.33% |
| Tegeta Motors | GEL | 10 | 13.50% | Jul-24 | Jul-26 | BB- | n/a | n/a |
| Tegeta Motors | GEL | 15 | 13.50% | Aug-24 | Aug-26 | BB- | 100.00 | 13.50% |
| Nikora Trade | GEL | 60 | TIBR3M + 3.25% | Oct-24 | Oct-29 | BB- | n/a | n/a |
| MFO MBC | GEL | 30 | TIBR3M + 4.25% | Dec-24 | Dec-26 | B+ | n/a | n/a |
| MFO MBC | GEL | 30 | TIBR3M + 4.00% | Apr-25 | Apr-27 | B+ | n/a | n/a |
| Nikora Trade | GEL | 60 | TIBR3M + 3.50% | Jul-25 | Jul-30 | BB- | n/a | n/a |
| Georgian Healthcare Group | GEL | 350 | TIBR + 3.75% | Sep-25 | Sep-30 | B+ | n/a | n/a |
| Nikora | GEL | 60 | TIBR3M + 3.50% | Sep-25 | Sep-30 | BB- | n/a | n/a |
| MFO MBC | GEL | 30 | TIBR3M + 4.00% | Oct-25 | Oct-27 | B+ | n/a | n/a |
| MFO Rico Express | GEL | 200 | TIBR1D + 3.00% | Dec-25 | Dec-30 | B+ | n/a | n/a |
| Tegeta Motors | GEL | 260 | TIBR6M + 3.00% | Dec-25 | Dec-30 | BB- | n/a | n/a |
| Nova | GEL | 50 | TIBR6M + 3.25% | Dec-25 | Dec-30 | B+ | n/a | n/a |
| TBC Leasing | GEL | 160 | TIBR3M + 3.00% | Mar-26 | Mar-31 | BB | n/a | n/a |

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი

# ობლიგაციები

## ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




წყარო: Bloomberg

## ადგილობრივი კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი




წყარო: სებ

## ადგილობრივი კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი სექტორების მიხედვით




წყარო: სებ

შენიშვნა: მონაცემთა წყარო შეიცვალა საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემებით; შესაბამისად, მონაცემები არ არის სრულად შედარებადი წინა პუბლიკაციებთან მეთოდოლოგიური განსხვავების გამო.

# აქციები

## Lion Finance Group (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

**Lion Finance Group**-ის (BGEO LN) აქციები დაიხურა 114.40 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +3.53% წინა კვირასთან შედარებით და +5.44% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 331 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 110.50 - 115.90 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 55 ათასი აქცია შეადგინა.

## თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)




წყარო: Bloomberg

**თიბისი ბანკის ჯგუფის** (TBCG LN) აქციები დაიხურა 45.30 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.04% წინა კვირასთან შედარებით და +1.34% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 418 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 44.50 - 46.80 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 68 ათასი აქცია შეადგინა.

## Georgia Capital (CGEO LN)




წყარო: Bloomberg

**Georgia Capital**-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 41.70 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.53% წინა კვირასთან შედარებით და +2.96% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 285 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 40.10 - 43.20 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 53 ათასი აქცია შეადგინა.

# აქციები

## აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

| | ტიკერი | ვალუტა | აქციის ფასი | კაპიტალიზ. | 6 თვე, ცვლ. | წ/წ ცვლ. | წლის დას. | P/E 2026F | P/E 2027F | P/B 2026F | P/B 2027F |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Lion Finance Group | BGEO | GBP | 114.40 | 4,945 | 23.7% | 74.4% | 23.0% | 7.48x | 6.42x | 1.73x | 1.43x |
| TBC | TBC | GBP | 45.30 | 2,524 | 12.1% | 1.8% | 11.6% | 5.64x | 4.92x | 1.23x | 1.06x |
| Halyk Bank | HSBK | USD | 30.75 | 8,379 | 3.9% | 27.9% | 2.7% | 4.03x | 4.39x | na | na |
| Akbank | AKBNK | TRY | 81.85 | 425,620 | 14.0% | 43.2% | 17.3% | 4.35x | 3.08x | 1.05x | 0.81x |
| Garanti | GARAN | TRY | 143.70 | 603,540 | 1.2% | 28.0% | 0.1% | 3.82x | 3.03x | 1.00x | 0.80x |
| Isbank | ISCTR | TRY | 15.36 | 384,000 | 9.6% | 36.3% | 9.0% | 3.17x | 2.30x | 0.75x | 0.56x |
| PKO | PKO | PLN | 105.28 | 131,600 | 25.1% | 50.3% | 23.6% | 12.32x | 10.10x | 2.19x | 2.04x |
| PEKAO | PEO | PLN | 235.40 | 61,785 | 13.1% | 34.4% | 14.8% | 10.74x | 9.45x | 1.72x | 1.61x |
| Millennium | MIL | PLN | 20.45 | 24,807 | 23.7% | 53.8% | 23.0% | 14.25x | 10.20x | 2.43x | 2.13x |
| Mbank | MBK | PLN | 1,434.00 | 60,982 | 35.7% | 92.4% | 35.1% | 14.51x | 12.17x | 2.65x | 2.27x |
| BRD | BRD | RON | 31.95 | 22,266 | 32.8% | 65.5% | 18.8% | 13.19x | 12.24x | 1.93x | 1.81x |
| Banca Transilvania | TLV | RON | 37.22 | 40,582 | 23.5% | 43.1% | 23.2% | 9.38x | 8.91x | 1.85x | 1.66x |
| Komercni | KOMB | CZK | 980.00 | 186,248 | -15.2% | -2.6% | -15.7% | 10.95x | 10.19x | 1.45x | 1.42x |
| ***Mean*** | | | | | | | | ***8.76x*** | ***7.49x*** | ***1.67x*** | ***1.47x*** |
| ***Median*** | | | | | | | | ***9.38x*** | ***8.91x*** | ***1.73x*** | ***1.52x*** |

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტ & თაგარტი**
**მისამართი:** პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0108, საქართველო
**ტელ:** + (995) 32 2401 111

**კვლევები:** research@gt.ge research@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4298)

**საბროკერო:** sales@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4132)

**საინვესტიციო-საბანკო მიმართულება**: ib@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (7457)